



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამანაუზი

ამანაუზი, მწვერვალები გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე:

1. მთავარი ა., სიმაღლე 3757 მ. აღმართულია ქედის ჩრდ. მხარეს, მდ. ამანაუზის სათავეში.

2. სამხრეთი ა., სიმაღლე 3692 მ. მდებარეობს ქედის სამხრ. მხარეს, მდ. ანაიშანგარის (ჩხალთის მარცხ. შენაკადი) სათავეში. მწვერვალები აგებულია კამბრიულისნა და ქვედაპალეოზოური კრისტ. ფიქლებით. მკაფიოდაა გამოხატული თანამედროვე გამყინვარება. მწვერვალებს შორის მოქცეულია ამანაუზის უღელტეხილი.

მ. უთმელიძე
